ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 195

"12" დეკემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

შპს "ლაბორატორიის" კაპიტალის გაზრდასთან დაკავშირებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ბ" ქვეპუნქტისა და 127-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კომპანია, შპს „ლაბორატორიაში" (ს/კ 204524835) დასაქმებულთა სახელფასო დავალიანების დასაფარად მოძიებული ფინანსური რესურსის (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტით „საპროექტი-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებების" პროგრამისთვის, კოდი 2.3, გათვალისწინებულ ასიგნებებში) 425 685 (ოთხასოცდახუთი ათას ექვსასოთხვოცდახუთი) ლარის ოდენობით, შპს „ლაბორატორიის" (ს/კ 204524835) კაპიტალის გაზრდასთან დაკავშირებით პროექტის სახით წარმოდგენილი პირობების შესაბამისად.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი